

შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	10
5. შემოსავალი რეალიზაციიდან	12
6. თვითღირებულება	12
7. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	12
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	12
9. ფინანსური შემოსავალი	12
10. ძირითადი საშუალებები	13
11. სასაქონლო მატერიალური მარაგები	14
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
13. ფული და ფულის ეკვივალენტები	15
14. კაპიტალი	15
15. საგადასახადო ვალდებულება	15
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
17. პირობითი ვალდებულებები	15
18. დაკავშირებულ მხარეები	16
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	16

მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	18
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	18
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	19
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	20
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	20
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.	20
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	20

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანის“ მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანი“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანის“ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აუდიტორებად დავინიშნეთ ამ თარიღის შემდგომ. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებობაში და ფიზიკურ კონდიციაში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს შესაბამისად 568 და 712 ათას ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ჩაუტარებია ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობისა და სატრანსპორტო საშუალებების ჯგუფის გარდა, სხვა ძირითად საშუალებებზე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით ძირითადი საშუალებების არსებობაში და ფიზიკურ კონდიციაში, ასეთი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 747 ათას ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარისგან დასტურის წერილები და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით შევძელით მიგველო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების/ვალდებულებების ნაშთის სისწორეზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (შენიშვნა 12 და 16), აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

კომპანიას 2024 წლის განმავლობაში მარაგების და ძირითადი საშუალებების შესყიდვა აღრიცხული ჰქონდა დღგ-ს ჩათვლით. მენეჯმენტის განმარტებით ამის გასწორება იგეგმებოდა ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე პერიოდში, თუმცა როგორც ეს აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მე-19 შენიშვნაში ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე კომპანიას შეეზღუდა წვდომა ბუღალტრულ მონაცემებთან და შესაბამისად შეუძლებელი გახდა ამ შეუსაბამობის გასწორება. ამასთან, აღნიშნული შეზღუდვის გამო ჩვენ ვერ ჩავატარეთ შემოსავლებისა და ხარჯების დროში სწორად გამიჯვნის ტესტირებები 2025 წლის შესაბამის პერიოდზე. ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აღნიშნული შეზღუდვის ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ ინფორმაცია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ საგადასახადო ვალდებულებების, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე არსებულ, გადამხდელთა პირად საგადასახადო ბარათის მონაცემებთან რეკონსილაციის შედეგად გამოვლენილ სხვაობებზე და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით შევძელით მიგველო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული

მტკიცებულებები საგადასახადო ვალდებულების სისწორეზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს შესაბამისად 363 ათას ლარს. კომპანია გეგმავს ნაშთების დადარებას მას შემდეგ რაც სწორად აისახება აქტივების შესყიდვისას გადახდილი დღგ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - *“აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”* - ნაწილში. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ დაგროვილმა ზარალმა 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 3,866 და 2,888 ათასი ლარი და ამ თარიღისათვის კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები მოკლევადიან აქტივებს აჭარბებს 5,507 და 4,060 ათასი ლარით. როგორც მე-4 შენიშვნაშია აღნიშნული, კომპანია იმყოფება ბიზნესის განვითარების საწყის ეტაპზე და მენეჯმენტს დასახული აქვს გეგმა საოპერაციო შედეგების გასაუმჯობესებლად რამაც უნდა უზრუნველყოს საკმარისი პოზიტიური ფულადი ნაკადების გენერირება საოპერაციოს საქმიანობის შეუფერებლად განსახორციელებლად. ამასთან, კომპანიამ ძირითადი მომწოდებლისგან მიიღო მხარდაჭერის წერილი, რომლის მიხედვითაც, კომპანიის ოპერაციის შეუფერებლად გაგრძელებისთვის, არ მოითხოვს ვალდებულების მნიშვნელოვანი ნაწილის დაუყოვნებლივ დაფარვას. ეს მოვლენები და პირობები, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ექვს ბალებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 17-21 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი

საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის საქართველო აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

1 ოქტომბერი 2025

თბილისი, საქართველო

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის საქართველო აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)



ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

1 ოქტომბერი 2025

თბილისი, საქართველო

შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანი“

მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	37,150	29,745
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(27,769)	(19,729)
საერთო მოგება		9,481	10,016
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	7	(7,248)	(8,871)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	8	(2,543)	(1,570)
სხვა შემოსავალი		100	109
საოპერაციო ზარალი		(310)	(316)
ფინანსური შემოსავალი	9	32	54
ფინანსური ხარჯი		-	-
საკურსო ზარალი		-	-
ზარალი დაბეგვრამდე		(278)	(262)
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის სრული ზარალი		(278)	(262)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 1 ოქტომბერს
შემდეგი პირების მიერ:

ქიაბერ ჭიაბრიშვილი
დირექტორი

ლია სანაძე
მთავარი ბუღალტერი


შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანი“

მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	37,150	29,745
რეალიზებული პროდუქციის			
თვითღირებულება	6	(27,769)	(19,729)
საერთო მოგება		9,481	10,016
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	7	(7,248)	(8,871)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	8	(2,543)	(1,570)
სხვა შემოსავალი		100	109
საოპერაციო ზარალი		(310)	(316)
ფინანსური შემოსავალი			
ფინანსური ხარჯი	9	32	54
საკუროსო ზარალი		-	-
ზარალი დაზღვევამდე		(278)	(262)
მოგების გადასახადი			
პერიოდის სრული ზარალი		(278)	(262)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 1 ოქტომბერს
შემდეგი პირების მიერ:




ლია სანაძე
მთავარი ბუღალტერი

შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	1,641	1,172
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,641	1,172
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	11	568	712
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	1,937	306
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	171	1,517
სულ მიმდინარე აქტივები		2,676	2,535
სულ აქტივები		4,317	3,707
კაპიტალი			
დაუფარავი ზარალი	14	(3,866)	(2,888)
სულ კაპიტალი		(3,866)	(2,888)
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	15	1,405	868
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	6,778	5,727
სულ მიმდინარე ვალდებულებები		8,183	6,595
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		4,317	3,707

შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2022	-	(2,343)	(2,343)
პერიოდის სრული ზარალი	-	(262)	(262)
დამფუძნებლებთან განხორციელებული ოპერაციები (შენიშვნა 14)	-	(283)	(283)
31 დეკემბერი 2023	-	(2,888)	(2,888)
პერიოდის სრული ზარალი	-	(278)	(278)
დამფუძნებლებთან განხორციელებული ოპერაციები (შენიშვნა 14)	-	(700)	(700)
31 დეკემბერი 2024	-	(3,866)	(3,866)

შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		
ზარალი დაბეგვრამდე	(278)	(262)
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	212	89
საპროცენტო შემოსავალი	(32)	(54)
უიმედო და საექვო ვალების ხარჯი	322	127
მარაგების გაუფასურების ხარჯი	261	24
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული/გასული ფულადი სახსრები აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე	485	(76)
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	(117)	(491)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(1,953)	1,073
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	1,051	898
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	537	181
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	3	1,585
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
გადახდილი პროცენტი	-	-
საოპერაციო აქტივობებიდან შემოსული წმინდა ფულადი ნაკადები	3	1,585
საინვესტიციო აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(681)	(1,035)
საინვესტიციო აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(681)	(1,035)
ფინანსური აქტივობები		
აღებული/(დაფარული) სესხი	-	(60)
მეწილეებისთვის გადახდილი თანხები (შენიშვნა 14)	(700)	(283)
მიღებული პროცენტი	32	54
ფინანსურ აქტივობებიდან გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(668)	(289)
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ეკვივალენტების	(1,346)	261
ფული და ფულადი ნაკადები პერიოდის დასაწყისში	1,517	1,256
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	171	1,517

შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანი“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2021 წლის 23 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 406350602.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია ავტოგაზგასამართი სადგურების (აგგს) მომხმარებელს აგგს-ების დახმარებით აწოდებს ბუნებრივ აირს და თხევად გაზს. 2024 წლის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა აქტიური 17 აგგს, რომელთა დახმარებით ეწევა როგორც საცალო ასევე საბითუმო რეალიზაციას. კომპანიამ 2023 წელს არსებულ სადგურებზე ასევე დაიწყო ბენზინის რეალიზაცია.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, აკაკი წერეთელის გამზირი, N117. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს იურიდიულ მისამართზე.

კომპანიის მეწილეები: 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მეწილეთა სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1. ფიზიკური პირი სალიმა შაჰბაზოვა/აზერბაიჯანი - 50%
2. ფიზიკური პირი გიორგი კობეშვიძე - 50%

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღამდე მეწილეთა სტრუქტურა არ განახლებულა.

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის. საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებული შეფასებები და დაშვებები იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია. მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი 107 ლარი სრულად იყო წარმოდგენილი საერთო და ადმინისტრაციული ხარჯის მუხლში. მოხდა აღნიშნული ხარჯების გაყოფა საერთო/ადმინისტრაციულ და კომერციულ ხარჯებს შორის. შესაბამისად რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯებში რეკლასიფიცირდა ცვეთის ხარჯი 84 ლარის ოდენობით.

2023 წლის შედეგებზე რეკლასიფიკაციების შედეგი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2023	რეკლასიფიკაცია	2023
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(1,654)	84	(1,570)
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	(8,787)	(84)	(8,871)
	(10,441)	-	(10,441)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, სადაც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

		საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
		აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2024	წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
კურსი 2023	წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები.

• **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

• **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული

აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაუმთავრებელი მშენებლობა. დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულება მოიცავს მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებულ მასალებს და შრომის ანაზღაურებას, იმ ძირითადი საშუალებების ცვეთას,

რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და ასევე სხვა სახის ზედნადებ ხარჯებს. დაუმთავრებელი

- მშენებლობის ღირებულებაში ასევე შეყვანილია კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები რაზეც მიმდინარეობდა სამუშაოები ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
კომპიუტერები და საოფისე ტექნიკა	2-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	8-10
სატრანსპორტო საშუალებები	10
სხვა	2-10

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
საბუღალტრო პროგრამები	5-10 წელი
სხვა	5-10 წელი

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს,

რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი

აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო

კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებულ საქონელზე/მომსახურებაზე შეთანხმებული კომპენსაციის თანხას. კომპანია აღიარებს

შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. როგორც წესი შემოსავალი აღიარდება დაუყოვნებლივ როდესაც გაზგასართ სადგურზე ხდება საქონლის მიწოდება.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, შემოსავლები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

მომხმარებელთა წახალისების ქულების პროგრამა

კომპანიაში მოქმედებს წახალისების ქულების პროგრამა, რომელიც კლიენტს ქულების დაგროვების შესაძლებლობას აძლევს, რომლებიც მომავალში შესაძლოა გამოყენებულ იქნას საქონლის უფასოდ მისაღებად. კომპანია ამგვარ სასაჩუქრე ქულებს ასახავს, როგორც თავდაპირველი გაყიდვის შემადგენელ, განცალკევებით იდენტიფიცირებად კომპონენტს. კომპანია თავდაპირველ გაყიდვასთან დაკავშირებით მიღებულ ანაზღაურების ღირებულებას ანაწილებს სასაჩუქრე ქულებსა და რეალიზებულ პროდუქციაზე. სასაჩუქრე ქულებზე მიკუთვნებული ღირებულება განსაზღვრება მათი რეალური ღირებულებით.

კომპანიის პოლიტიკის მიხედვით, მომხმარებლები რომელთაც აქვთ ნეოგაზის დაგროვების ბარათი ბუნებრივი აირის ყოველი 1 კუბის ჩასხმისას იღებენ 0.05 ქულას ნეოგაზზე. 1 დაგროვებული ქულა უტოლდება 1 ლარს.

შემოსავალი აღიარდება კლიენტის მიერ წახალისების ქულების გახარჯვისთანავე. წახალისების ქულები გროვდება დაგროვების ბარათზე. კომპანიის პოლიტიკით ბარათის 1 წლის განმავლობაში გამოუყენებლობის შემთხვევაში, ქულები უქმდება.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას

იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

• **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშგო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიკური გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ანმოლოდინების მიხედვით.

• **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

- **ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების მართებულობა.** 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს აკუმულირებული ზარალი 3,866 და 2,888 ლარის ოდენობით. ამასთან ერთად, 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები აჭარბებს მიმდინარე აქტივებს 5,507 და 4,060 ლარის ოდენობით.

იმის შესაფასებლად, აქვს თუ არა უნარი კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ, მენეჯმენტმა გაითვალისწინა შემდეგი ფაქტორები:

კომპანიისთვის 2022 წელი წარმოადგენდა ოპერირების პირველ საანგარიშგებო წელს. კომპანიას საწყის ეტაპზევე ჰქონდა მნიშვნელოვანი ფიქსირებული ხარჯები, ხოლო შემოსავალი მიყვება ზრდად ტრენდს. კომპანიის მენეჯმენტი აქტიურად მუშაობდა ბრენდის განვითარებაზე, რამაც უნდა უზრუნველყოს შემოსავლის ზრდა და საშუალოვადიან პერიოდში დაგროვილი ზარალის დაფარვა. აღნიშნული ტრენდი შენარჩუნებული იყო 2023 და 2024 წლებში. 2024 წლის ზარალი ძირითადად უკავშირდება არა ფულად კომპონენტებს, შესაბამისად მიმდინარე ოპერაციებით შესაძლებელია სამუშაო კაპიტალის დაფინანსება.

ამასთან, ხელშეკრულების შესაბამისად 2023 და 2024 წელს მნიშვნელოვნად შემცრიდა საიჯარო ხარჯი, აღნიშნული შემცირებული ხარჯი შენარჩუნებული იქნება სრულად 2025 წელზე, შესაბამისად სამომავლო პერიოდში ეს კიდევ უფრო შეამცირებს კომპანიის საოპერაციო ხარჯებს. დამატებით კომპანიამ 2024 წელს მთავარი მომწოდებლისგან მიიღო მხარდაჭერის წერილი, რომ თუ ის ვერ შეძლებდა სრულად ვალდებულებების დაფარვას, იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს კომპანიის შეუფერხებელი საოპერაციო საქმიანობა მომწოდებელი არ მოთხოვს 1,5 მილიონი ლარს. აღნიშნულის ფარგლებში 2025 წელს მომწოდებლის მხრიდან ფაქტიობრივადაც მოხდა აღნიშნული დავალიანების პატიება.

კომპანიის მენეჯმენტს სჯერა, რომ კომპანიას ყავს დიდი გამოცდილების მქონე საკადრო რესურსი და სწორი სტრატეგიის შემუშავებით და გატარებით შესაძლებელია ბაზრის წილის ზრდა, როგორც ბუნებრივი აირის რეალიზაციაში, ასევე ბენზინის რეალიზაციის შემთხვევაშიც, რამაც უნდა უზრუნველყოს საქმიანობის შეფერხებების გარეშე ოპერირება.

აქედან გამომდინარე, მენეჯმენტი თვლის, რომ საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენება მიზანშეწონილია და მომავალში კომპანია შეძლებს სტაბილური დადებითი ფულადი ნაკადების გენერირებას.

შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2024	2023
შემოსავალი ბუნებრივი აირის რეალიზაციიდან	31,339	27,565
შემოსავალი საწვავის რეალიზაციიდან	3,941	1,284
შემოსავალი თხევადი გაზის რეალიზაციიდან	1,870	896
სულ	37,150	29,745

კომპანიის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს აგვს-ების დახმარებით ბუნებრივი აირის, თხევადი გაზის და საწვავის რეალიზაცია როგორც საცალო მომხმარებლებზე ასევე კორპორატიულ კლიენტებზე.

6. თვითღირებულება

	2024	2023
ბუნებრივი აირის თვითღირებულება	(22,829)	(17,825)
საწვავის თვითღირებულება	(3,309)	(1,211)
თხევადი გაზის თვითღირებულება	(1,631)	(693)
სულ	(27,769)	(19,729)

7. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(1,957)	(2,142)
იჯარის ხარჯი	(1,824)	(3,090)
კომუნალური ხარჯი	(1,805)	(2,057)
რემონტის ხარჯი	(628)	(458)
ბანკის საკომისიო	(220)	(182)
საცხებ - საპოხი მასალის ხარჯი	(174)	(161)
ცვეთა და ამორტიზაცია	(145)	(84)
პროფესიული მომსახურება	(114)	(116)
სხვა ხარჯი	(381)	(581)
სულ	(7,248)	(8,871)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(1,260)	(922)
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი	(322)	(127)
მარაგების გაუფასურების ხარჯი	(261)	(24)
პროფესიული მომსახურება	(250)	(235)
საგადასახადო ხარჯი	(176)	(118)
სხვა ხარჯი	(274)	(144)
სულ	(2,543)	(1,570)

9. ფინანსური შემოსავალი

ფინანსური შემოსავალი სრულად უკავშირდება ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებულ თანხებზე დარიცხულ სარგებელს.

შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. ძირითადი საშუალებები

	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	კომპიუტერები და საოფისე ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2022	-	101	50	54	34	239
შემოსვლა	980	26	-	-	54	1,060
დაუმთავრებელიდან გადატანა	54	-	-	(54)	-	-
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	1,034	127	50	-	88	1,299
შემოსვლა	31	7	25	463	155	681
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	1,065	134	75	463	243	1,980
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი 2022	-	(5)	(4)	-	(4)	(13)
ცვეთის ხარჯი	(75)	(22)	(5)	-	(12)	(114)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	(75)	(27)	(9)	-	(16)	(127)
ცვეთის ხარჯი	(157)	(24)	(6)	-	(25)	(212)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	(232)	(51)	(15)	-	(41)	(339)
საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2023	959	100	41	-	72	1,172
31 დეკემბერი 2024	833	83	60	463	202	1,641

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა მოიცავს: ა.გ.გ.ს-ებზე განხორციელებულ გაუმჯობესებს, მათ შორის ბენზინის რეალიზაციისთვის საჭირო რეზერვუარებსა და სვეტებს.

შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნედლეული და მასალები	474	434
საწვავი	263	250
თხევადი გაზი	94	26
სხვა მარაგები	22	26
სასაქონლო მატერიალური მარაგები, ბრუტო	853	736
მარაგების გაუფასურების რეზერვი	(285)	(24)
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	568	712

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	1,513	133
სავაჭრო მოთხოვნები, ბრუტო	1,513	133
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(55)	(19)
სავაჭრო მოთხოვნები, ნეტო	1,458	114
 არაფინანსური აქტივი		
გადახდილი ავანსები	906	334
შემცირებული მიუღებელი თანხებით	(427)	(142)
არაფინანსური აქტივი, ნეტო	479	192
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო	1,937	306

უიმედო და საექვო ვალების რეზერვში მომხდარი ცვლილებები:

	სავაჭრო მოთხოვნები
31 დეკემბერი 2022	(7)
მოგება/(ზარალში) აღიარებული	(12)
31 დეკემბერი 2023	(19)
მოგება/(ზარალში) აღიარებული	(36)
31 დეკემბერი 2024	(55)

შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	135	1,457
ფული სალაროში	28	58
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	8	2
სულ	171	1,517

14. კაპიტალი

ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ მოცემულია პირველ შენიშვნაში.

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ გამოუცხადებია ან გაუცია დივიდენდი.

დამფუძნებლებთან განხორციელებული ოპერაციები მოიცავს კომპანიის დამფუძნებელზე განხორციელებულ ფულად განაცემს.

15. საგადასახადო ვალდებულება

2016 წლის 1 იანვარიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე. შესაბამისად, საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილია ნეტო თანხით.

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	6,195	5,092
საკონტრაქტო ვალდებულება	419	506
მიღებული ავანსები	150	120
სხვა ვალდებულებები	14	9
სულ:	6,778	5,727

17. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის შექმნილი რეზერვი შესაბამის პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა, შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ მაქსიმუმ წინა სამი წლის პერიოდზე.

18. დაკავშირებულ მხარეები

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთიერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან არსებული გადაუხდელი ნაშთები და ოპერაციები.

ოპერაციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2024	2023
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	103	71

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიაში მოხდა კიბერთავდასხმა, რომლის შედეგადაც კომპანიას შეუწყდა წვდომა სერვერებზე და საბუღალტრო თუ სხვა პროგრამებზე რომლებსაც იყენებდა საქმიანობის პროცესში. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული თავდასხმა მოხდა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესში კომპანიამ ვერ შეძლო სრულყოფილად დაესრულებინა ფინანსური ანგარიშგების დახურვის პროცესი.

შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანი“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის დირექტორია ჭიაბერ ჭიაბრიშვილი, დირექტორს ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო რომელიც შედგება სამი წევრისგან.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

კომპანიის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სავაჭრო ბუნებრივი აირის და თხევადი გაზის რეალიზაცია როგორც საცალო მომხმარებელზე ისე კორპორატიულ კლიენტებზე.

კომპანიის შემოსავლები არის შემდეგი:

	2024	2023
შემოსავალი ბუნებრივი აირის რეალიზაციიდან	31,339	27,565
შემოსავალი საწვავის რეალიზაციიდან	3,941	1,284
შემოსავალი თხევადი გაზის რეალიზაციიდან	1,870	896
სულ	37,150	29,745

არსებული პროდუქტები და მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები

კომპანიის ძირითადი მომწოდებელი ბუნებრივი აირის შემთხვევაში არის შპს ენერჯი სეილს კომპანი, ხოლო თხევადი გაზის შემთხვევაში ლპჯ-გაზი და შპს დიკა. რაც შეეხება საწვავს ამ შემთხვევაში ძირითადი მომწოდებლები არიან: შპს ეკოპეტროლი და შპს ეკოტრანსი, შპს იბეროილი, შპს ლაგუნა და შპს სოჯარ ჯორჯია პეტროლეუმი.

ბუნებრივი აირის და თხევადი გაზის რეალიზაცია ხორციელდება საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე 17 აგგს-ს მეშვეობით, კერძოდ: თბილისში, ქუთაისში, თელავში სამტრედიასა და ზესტაფონში. კომპანია მოძრავი სადგურების მეშვეობით დამატებით სხვადასხვა ლოკაციებზე აწოდებს მომხმარებელს ბუნებრივ აირს. რაც შეეხება საწვავს, აღნიშნულის რეალიზაცია ხორციელდება 7 აგგს-ზე.

ცენტრალური ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე - საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, გამზირი აკაკი წერეთელი , N117

კომპანიის სტრუქტურა

კომპანიის გენერალური დირექტორი 2024 წლის 1 იანვრიდან ანგარიშგების გამოცემამდე პერიოდში იყო ჭიაბერ ჭიაბრიშვილი წესდების მიხედვით დირექტორს ნიშნავს და ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო.

შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანი“ არ ფლობს ინვესტიციებს სხვა კომპანიებში.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ დააგენერირა 37,150 ათასი ლარის ოდენობის შემოსავალი.

შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

ძირითადი კოეფიციენტები:

	2024	2023
სულ შემოსავალი	37,150	29,745
სულ აქტივები	4,317	3,707
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	220	266
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Current Ratio)	(0.33)	(0.38)
კრედიტორების ბრუნვა (დღე)	89.10	105.96
დებიტორების ბრუნვა (დღე)	19.03	3.75

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანი“ პერსონალის რაოდენობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. კომპანიაში დასაქმებულია 60 კადრი ადმინისტრაციულ დეპარტამენტში ხოლო 440 აგეს-ებზე. კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

როგორც დამქირავებელი, შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანი“ სთავაზობს პერსონალს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. კომპანიის მენეჯმენტი და დამფუძნებლები პასუხისმგებლობით უდგებიან ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე არსებულ რისკებს და მუდმივად ზრუნავენ თანამშრომლების პროფესიონალიზმის ამაღლებაზე რათა უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკაში მოქმედი სტანდარტების და პროცედურების დაცვა.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

კომპანიას ჰყავს ოთხი დიდი მომწოდებელი: შპს ენერჯი სეილს კომპანი, შპს დიკა, შპს ეკოტრანსი და შპს ეკოპეტროლი . კომპანიის მთავარი კლიენტები არიან საცალო მომხმარებლები.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება. კომპანია 2023 წელს იწყებს ახალი ბაზრის ათვისებას კერძოდ დაიწყო ბენზინის რეალიზაცია აგეს-ებზე. 2024 წლისთვის კომპანია აფართოებს ბიზნესსაქმიანობას და დამატებით იწყებს საწვავის რეალიზაციისთვის ახალი აგეს-ების ათვისებას.

კომპანიის სამომავლო გეგმებში ძირითადი მიმართულებებია:

ახალი მომხმარებლების მოზიდვა

კომპანია მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი და შესთავაზოს ხელსაყრელი კომერციული პირობები არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს, რათა მოხდეს ახალი ავია კომპანიების მოზიდვა და შესაბამისად რეალიზაციის მოცულობის ზრდა.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვა

კომპანია მუდმივად ადევნებს თვალს სიახლეებს საავიაციო და ნავთობპროდუქტების სფეროში, სხვადასხვა გამოცემებისა და გამოფენების მეშვეობით. შესაბამისად ხდება ტექნოლოგიური სიახლეების პერმანენტული დანერგვა საქმიანობაში, რათა გაუმჯობესებულ იქნას უსაფრთხოების სტანდარტი და მომსახურების ხარისხი.

საწარმო სიმძლავრეების განვითარება

რეალიზაციის მოცულობის ზრდასთან ერთად კომპანია ორიენტირებულია განახორციელოს ინვესტიციები სასაწყობო მეურნეობის სიმძლავრეების და მიწოდების საშუალებების განვითარებაში, რათა უფრო ეფექტური გახდეს მისი საქმიანობა ბაზრის საერთო ზრდის ტენდენციების შესაბამისად.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2024 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	2024	2023	გადახრის ახსნა
შემოსავალი რეალიზაციიდან	37,150	29,745	შენიშვნა 1
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(27,764)	(19,729)	შენიშვნა 1
ძირითადი საშუალებები	1,641	1,172	შენიშვნა 2

შენიშვნა #1:

კომპანიამ მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად გაზარდა შემოსავლები რაც დაკავშირებულია ახალი საბითუმო კონტრაგენტის დამატებასთან. კომპანიამ 2024 წლის მარტში ხელშეკრულება გააფორმა შპს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციასთან რომლის ფარგლებშიც ხდება საბითუმოდ ბუნებრივი აირის მიწოდება საბითუმოდ.

შენიშვნა #2:

კომპანიის ძირითადი საშუალებები გაიზარდა რადგან 2024 წლის განმავლობაში კომპანია აგრძელებს არსებულ აგგ-ებზე ბენზინის ტიპის საწვავისთვის დაკავშირებული სადგურების მშენებლობას.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2024	2023
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,694	3,736
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	33.8	30.8
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	9,141.4	8,284.0
მშპ-ის რეალური ზრდა, %	9.4%	7.8%
საშუალო წლიური ინფლაცია	1.1%	2.5
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,333.8	1,902.2
უმუშევრობის დონე, %	13.9%	16.4%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო

რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე. კომპანია კორპორატიულ მომხმარებლებს სთავაზობს კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოუშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მოთხოვნები და ვალდებულებები თითქმის არ აქვს შესაბამისად აღნიშნული რისკი არ წარმოიქმნება.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განუხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად, ვინაიდან არ გააჩნია ცვლად განაკვეთიანი სესხები.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 1 ოქტომბერს:

ჭიაბერ ჭიაბრიშვილი
დირექტორი

ლია სანამე
მთავარი ბუღალტერი

შპს „გაზ ენდ პეტროლ კომპანი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე. კომპანია კორპორატიულ მომხმარებლებს სთავაზობს კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტური ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ვეექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მოთხოვნები და ვალდებულებები თითქმის არ აქვს შესაბამისად აღნიშნული რისკი არ წარმოიქმნება.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განუხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად, ვინაიდან არ გააჩნია ცვლად განაკვეთიანი სესხები.


კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 1 იანვარს.



ლინა სანაძე
მთავარი ბუღალტერი